პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 კვირა 12 ივნისი № 137 (16877) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს პრესაში საყოველთაო გაცნობისათვის ქვეყნდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 მაისის გრძანებულებით.

ჰიმნის ტექსტის ავტორები არიან ს. მიხალკოვი და გ. ელ-რეგისტანი, მუსიკის ა. ალექსანდროვი.




მოსკოვი. კრემლი.
(საკავშირო ფოტოქრონიკა).

*Утвержден Указом Президиума Верховного Совета СССР от 27 мая 1977 г.*

# ГИМН

## СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

Текст С. Михалкова и Г. Эль-Регистана

СОЮЗ НЕРУШИМЫЙ РЕСПУБЛИК СВОБОДНЫХ
СПЛОТИЛА НАВЕКИ ВЕЛИКАЯ РУСЬ.
ДА ЗДРАВСТВУЕТ СОЗДАННЫЙ ВОЛЕЙ НАРОДОВ
ЕДИНЫЙ, МОГУЧИЙ СОВЕТСКИЙ СОЮЗ!

СЛАВЬСЯ, ОТЕЧЕСТВО НАШЕ СВОБОДНОЕ,
ДРУЖБЫ НАРОДОВ НАДЕЖНЫЙ ОПЛОТ!
ПАРТИЯ ЛЕНИНА — СИЛА НАРОДНАЯ
НАС К ТОРЖЕСТВУ КОММУНИЗМА ВЕДЕТ!

СКВОЗЬ ГРОЗЫ СИЯЛО НАМ СОЛНЦЕ СВОБОДЫ,
И ЛЕНИН ВЕЛИКИЙ НАМ ПУТЬ ОЗАРИЛ,
НА ПРАВОЕ ДЕЛО ОН ПОДНЯЛ НАРОДЫ,
НА ТРУД И НА ПОДВИГИ НАС ВДОХНОВИЛ!

СЛАВЬСЯ, ОТЕЧЕСТВО НАШЕ СВОБОДНОЕ,
ДРУЖБЫ НАРОДОВ НАДЕЖНЫЙ ОПЛОТ!
ПАРТИЯ ЛЕНИНА — СИЛА НАРОДНАЯ
НАС К ТОРЖЕСТВУ КОММУНИЗМА ВЕДЕТ!

В ПОБЕДЕ БЕССМЕРТНЫХ ИДЕЙ КОММУНИЗМА
МЫ ВИДИМ ГРЯДУЩЕЕ НАШЕЙ СТРАНЫ,
И КРАСНОМУ ЗНАМЕНИ СЛАВНОЙ ОТЧИЗНЫ
МЫ БУДЕМ ВСЕГДА БЕЗЗАВЕТНО ВЕРНЫ!

СЛАВЬСЯ, ОТЕЧЕСТВО НАШЕ СВОБОДНОЕ,
ДРУЖБЫ НАРОДОВ НАДЕЖНЫЙ ОПЛОТ!
ПАРТИЯ ЛЕНИНА — СИЛА НАРОДНАЯ
НАС К ТОРЖЕСТВУ КОММУНИЗМА ВЕДЕТ!







# „ქვეყანა ჩემი, მამული ჩემი, — ერთი გულია, ერთი ოჯახი!“

### მეგობრობისა და ძმობის ზეიმი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე

ვრაფიციისამებრ ყოველ ზაფხულს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა თავისებურ ორანჟერეად იქცევა ხოლმე. გამონაკლისი არც წლევანდელი ივნისი იყო. შაბათს, 11 ივნისს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა ყვავილების გამოფენა-კონკურსი. თბილისის რვავე რაიონი, ზოგიერთი რესპუბლიკური სამინისტრო და კომიტეტი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეყვავილეობის ხელოვნებაში.

ეს მშვენიერი წლის კარგი ტრადიცია უკვე კონკრეტულ საქმედ იქცა. თბილისში მოსახლეობის საჭიროებისათვის ყოველწლიურად გამოვყავთ 30 ჯიშის 1.200 ათასი ცალი ყვავილი. მარტო წელს ქალაქში, ასფალტზე მოფენილი ოაზისებიდან ახასხასდა 24 ახალი სკვერი.

მაგრამ ყვავილების წლევანდელი ზეიმი განსაკუთრებული. იგი შესანიშნავად ეხმიანა საზეიმო განწყობებისათვის, ჩვენს შრომელებს რომ დაეუფლა ახალი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელიც განმტკიცებს საბჭოთა ხალხის დიდ მონაპოვრებს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროიდან.

გამოფენის გუშინდელ დამთავალიერებლებს შორის იყვნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წყალსაცურავი ორგანოების ხელმძღვანელთა თბილისში მიმდინარე თათბირის მონაწილეენიც.

კუბის დელეგაციის მეთაურმა, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ალფრედო ალვარეს როდრიგესმა საინფორმაციო კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ჩვენი დელეგაციის წევრებს, ყველა ჩვენს კოლეგას, ვინც ამ სხდომაში მონაწილეობდა, საუკეთესო შთაბეჭდილებები დარჩათ საქართველოში ჩამოსვლის, მისი ხალხის გაცნობის შედეგად. ყვავილების ზეიმის ნახვამ თითქმის ლოგიკურად დაასრულა თქვენს შშვენიერ რესპუბლიკასთან, მის ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებთან გაცნობა. ორივე ვართ დარწმუნებული, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღება, რომელიც ნიშნავს აქვნა მთელი სოციალისტური თანამეგობრობისათვის, მნიშვნელოვანი ნაბიჯია; იგი იქნება დიდი წვლილი თავისუფლებისათვის, კეთილდღეობის პროგრესისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

ავტორიტეტული ყურადღებით შეეჯამა გამოფენა-კონკურსის შედეგებს. მეყვავილეობის დარგში პირველობა გაიზიარეს ორმა ორგანიზაციამ: ერთ-ერთ ადგილზე — ალ. ალიევის სახელობის ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღი, ორ ადგილზე — ალ. ალიევის სახელობის ბაკურიანის ბოტანიკური

# ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

60

**სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა**

## ერთსულოვანი მოწონება

### ერთიან, ძლიერ ოჯახში

**კიევი,** 10 ივნისი. (საკ.). დღეს გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განხილულ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1977 წლის მაისის პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

პლენუმმა მიღებულ დადგენილებაში ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებები და დასკვნები, დასახა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განმარტებისა და პროპაგანდის ამოცანები.

### უდიდესი წვლილი

**ბაკო,** 10 ივნისი. (საკ.). აზერბაიჯანის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ეს ალინიშნა დღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე ამოცანები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებები და დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და მიიღო ისინი განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

### ასე ხომ არ აჯობებდა...

**ჩვენი** საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის პროექტი ადამიანის ინტერესებს იცავს, მის პარმონიულ განვითარებას, მისი ნიჭის გაშლასა და გამოყენებას აკანონებს. ეს დიდებულია. მაგრამ არიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას გაურბიან.

პროექტის 13-ე მუხლში აღნიშნულია: „საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თვითეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების თავისუფალი შრომა“. ხომ არ აჯობებდა ამ მუხლში გაგვეთვალისწინებინა, რომ **თავისუფალი შრომა გამორიცხავს ყოველგვარ ჭვეშ ზრახვებს, რომ მხოლოდ ეთილსინდისიერი შრომა განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში.**

**ა. კოკაია,**
**ცხაკაიას კომბინირებული საკვების ქარხნის დირექტორი.**

### აღზრდაც და განათლებაც

**საყოველთაო** ყურადღებას იმსახურებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ის მუხლი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება. ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარებას ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე: დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება, საელმწიფო სტიპენდიებისა და სხვა შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, სასკოლო საელმძღვანელოების უფასო გაცემა, სკოლაში დღედაღამის სწავლების შესაძლებლობა, პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარება და მშრომელთა თვითგანათლების პირობების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება: ვფიქრობ, საქმისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ 60-ე მუხლში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ **სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის... დაემატოს სიტყვა „და სწავლისათვის“.** ეს კიდევ უფრო აამაღლებს თვითეული საბჭოთა მოქალაქის პასუხისმგებლობას და როლს კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

**ო. ნონიევი,**
**დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგი.**

**ასეთია მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ფიქრები**

## რეზერვების ძიებაში

**ახალი** წარმატებებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო ნაწარმოთა კოლექტივები. მათ თავდადებით იშრომეს საიუბილეო წლის განვლილ ხუთ თვეში და არც ერთი ჩამორჩენილი არ მყავთ თავიანთ რიგებში!

საწარმოებში გაშლილია შეჯიბრება ნახევარი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამასთან კოლექტივები დიდი გულისყურით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თუ როგორია ამ დარგის ნაწარმოთა კოლექტივების მიღწევები, რას ფიქრობენ ისინი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ამის შესახებ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ბ. ბამცეკლიძემ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ხუთწლედის მეორე წელი წარმატებებით დაიწყო. ხუთი თვის მანძილზე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 11,2 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, ხოლო რეალიზებულია 8,4 მილიონი მანეთისა. წარმოებაში დაინერგა ასობით გაუმჯობესებული ნაწარმი. მათი მასობრივი გამოშვების ათვისების დროს გამოყენებულია თანამედროვე მასალები, კონსტრუქციები. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, ძირითადი ყურადღება დაუთმო დამატებითი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების საკითხს, ამას, თუ როგორ გამოიყენონ უფრო ეფექტიანად ეს რეზერვები სახალხო მეურნეობაში.

ამ მიზნის წარმატებით მიღწევისათვის, მაგალითად, სამკერვალო დარგში განხორციელდა ნაწარმის დასამზადებელი შესაკერი ნაკადების კომპლექსური მექანიზაცია მოსკოვის ფაბრიკების „ვიმპელისა“ და „სალუტის“ მაგალითისამებრ. დაინერგა ქალის პალტოების შეკერვის გამსუბუქებული ნაკადი, საკმესლოატაციოდ არის გადაცემული საუთოებელი წნეხები ტანსაცმლის ტანთბო დამუშავებისათვის.

ბევრ საწარმოში ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, შემუშავებულია დებულებები ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მატერიალური სტიმულირების, პირველი წარდგენისთანავე პროდუქციის ჩაბარებისათვის, ხარისხის სახელმწიფოინსპექციანი ნაწარმის გამოშვებისათვის პრემირების შესახებ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახალხო მოხმარების საქონლის ატესტაცია. მიმდინარე ხუთწლედში საწარმოებსა და გაერთიანებებს პირველად მიეცათ კონკრეტული დავალებანი საპატიო ხუთკუთხედიანი და „სიახლის“ ინდექსიანი პროდუქციის გამოშვების მოცულობის ხაზით.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმის ხარისხის, ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლების დარგში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჯერ-ჯერობით საკმაოდ ბევრ საყვედურს გაიგონებთ ჩვენი პროდუქციის მისამართით.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ბევრად შეუწყობს ხელს, მაგალითად, საკარო ორგანიზაციებთან კავშირის სრულყოფა, მოსახლეობის მოთხოვნილების სწორი პროგნოზირება. ვაჭრობის განახლებული შეკვეთები ჩვენს მოდელიერებსა და კონსტრუქტორებს შესაძლებლობას მისცემთ უფრო სრულად დაკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვანი ნაწარმზე მოდის მიმართულების გათვალისწინებით.

ნაწარმის ხარისხსა და გაფორმებაზე მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენს პროდუქციის შეფუთვაც. ახლანდელი შესაფუთი მუყაო დაბალი ხარისხისაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს სამინისტროს 1977 წელს, ისევე როგორც ხუთწლედის პირველ წელს, არ გამოუყვეს რამდენიმე ასეული ტონა ცელოფანი, პოლეთილენის აფსკი, სალტიკეტი და ცარცის ქაღალდი, გასაგები გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის გადაწყვეტის ჩვენი საწარმოებისათვის.

მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების გასაფართოებლად ზემდგომი ორგანნების, დადგენილების შესასრულებლად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მომხმარებლები უზრუნველყოთ უმაღლესი ხარისხის ნაწარმით. სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური კომისია სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის ორგანიზაციასა და წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის.

როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში პროდუქციის გამოშვება დარგში უნდა გაიზარდოს 42,2 პროცენტით. ეს ძირითადად უზრუნველყოფილი იქნება მცირე მწარმოებლობის, ფიზიკურად გაცვეთილი და მორალურად მოძველებული მოწყობილობის შეცვლის, მთელი რიგი საწარმოების რეკონსტრუქციის, ახლების შენებლობის — ცხინვალის ტრიკოტაჟისა და გლდანის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკების აშენების გზით. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მიიყვანენ მათ მშენებლები საპროექტო ნიშნულამდე, ბევრად იქნება დამოკიდებული ხუთწლედის ძირითადი ამოცანის — წარმოებისა და ხარისხის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის შესრულება.

პროდუქციის ხარისხის სრულყოფის პრობლემის კომპლექსურად გადაწყვეტა მთელ ჯაჭვს მოიცავს — ნიმუშების შექმნიდან მასობრივი გამოშვების ორგანიზაციამდე, ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაწარმისადმი მოთხოვნების გადიდებიდან ბაზა ნაწარმის გამოყენებამდე და შეფუთვამდე.

**ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია დარგის საწარმოებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტმა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე. ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები წარმმართველი იქნება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ჩვენს შემდგომ მუშაობაში.**

**ხალხის კანდიდატები**

## მაქსოველის ნობათი

**საქართველოს** მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. იგი ხუთწლედის პირველი წლის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით არის დაჯილდოებული.

ქუთაისელი ფეიერები წელსაც კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. ეს საწარმო უკვე მეხუთედ იმარჯვებს ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლა ამ ენერგიული შრომაა გაჩაღებული ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დღითიდღე, მატულობს შრომის ტემპი. საწარმოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს.

ამ საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანია საწარმოს ახალგაზრდობის წვლილი. შემოქმედებითი შრომის ავანგარდშია კომკავშირული მედია ბოლოძე. იგი ხუთი წლის წინათ მოვიდა აქ და მუყაითი შრომით ერთ-ერთი საუკეთესო ფეიერეი გახდა, ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. ახლა კომკავშირული მედეა ბოლოძე ათ საქსოვ დაზას იმსახურება და ხუთწლედის მეორე წლის განლილ პირიოდში გვემის გადამეტებით ათასობით მეტრი ქსოვილი გამოუშვა

ეს მოწინავე ახალგაზრდა საწარმოს მშრომელებმა ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს. ამას წინათ მოეწყო მედეა ბოლოძესთან ამომრჩევლთა შეხვედრა, სადაც მან პირობა დადო, რომ ხუთწლედის ორი წლის დავალებას ოქტომბრის იუბილესათვის შეასრულებს.

• • •

**სურათზე:** ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მჭყოველი, საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მედეა ბოლოძე.

## ზეიმოგენ მსუბუქი ინდუსტრიის მუშაკები

**თბილისში,** სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეს.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, შრომის ვეტერანები.

ტაშის გრიალში სამპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრება გახსნა საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომკვეთმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. რიმინსთვალემ, თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანების მრთველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ჯიმშელეიშვილმა, თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ლ. ჯაკობაამ, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მკსოველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ც. გაფრინდაშვილმა და სხვებმა.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი. (საქინფორმი).

## დიდი ცხოვრების ფურცლებიდან

**ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი** ტექნიკური მდივნისათვის განკუთვნილ ბარათში ერთ-ერთი წერილის პასუხის მომზადების გამო შენიშნავდა, რომ ავტორს „...შეეძლია მომწეროს უშუალოდ: მოსკოვი, კრემლი“.

მოსკოვი. კრემლი. ლენინს...

ვინ მოსკოვლის, რამდენი ასეთი წერილი გაუგზავნიაო ფოსტით ან გადაუციათ ტელეგრაფით ერთი და იმავე მისამართით, ერთი და იმავე ადრესატისადმი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისათვის! ასობით, ათასობით...

მას სწერდნენ მუშები, გლეხები, წითელარმიელები, მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები, მოსწავლეები...

**ვ. ი. ლენინი საოცარი მზრუნველობით ეკიდებოდა წერილებს, უურადღებით ადევნებდა თვალყურს, რომ ყველა წერილი უთუოდ განხილულიყო. მათ იგი ყოველთვის ისე განიხილავდა, როგორც კრიტიკას ქვემოდან და როცა გაზეთ „ბედნიერებაზ“ რედაქტორმა ვიაჩესლავ ალეკსანდრ-ძე კარპინსკიმ გაზეთში გამოქვეყნებულ გლეხთა წერილებზე ცნობა მიუტანა ლენინს, მან წაიკითხა და უთხრა: „ეს რა საუცხოო ადამიანური დოკუმენტებია, ამას ხომ ვერც ერთ მოხსენებაში ვერ მოისმენ“.**

ლენინს ეკუთვნის ცნობილი სტრიქონები, რომლებიც მან მისწერა 1919 წლის 13 იანვარს სახალხო კომისართა საბჭოს სქმეთა მმართველს: „გავალებთ დაუყოვნებლივ მომახსენოთ ყველა საჩივარი, რომლებსაც იღებს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა სამმართველო მთავრობის ყველა ადგილსა და პირზე, ამასთან წერილობითი სახით მიიღოთ საჩივრის შესახებ უნდა მომახსენოთ ოცდაოთხი საათის განმავლობაში, სიტყვიერი სახით — ორმოცდარვა საათის განმავლობაში“. სამმართველოში უნდა შემოიღოთ ასეთი საჩივრების განსაკუთრებული რეგისტრაცია. ამასთან, სამმართველოს კანცელარიის მმართველს დაეკისროს ამ საჩივრების გამო ჩემი რეზოლუციების შესრულებისადმი გულდასმითი ზედამხედველობა“.

ადამიანთა ბედზე, მათს მომავალზე თქვენ ლენინი. როცა განიხილავდა წერილებს. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მისი რეზოლუციები მშრომელთა წერილებსა და დეპეშებზე.

პეტროგრადის პეტრი-პავლეს ციხე-სიმაგრის ჯარისკაცმა 17 წლის ა. ეფიმოვმა 1917 წლის ნოემბერში მისწერა წერილი ვ. ი. ლენინს. ამ წერილში ჯარისკაცი ითხოვდა განთავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან, რომელშიც უკვე ოთხი წელი იმყოფებოდა და დახმარებას სასწავლებელში მოწყობაში და განათლების მიღებაში. ვ. ი. ლენინმა დაწერა: „სამხედრო სამინისტროს, გთხოვთ შეიასრულოთ თხოვნა, თუკი შესაძლებელია“.

კრემლის საქმიანი კურსების კურსანტმა გ. ნიკოლსკიმ 1919 წლის ოქტომბერში შესჩივლა ლენინს, ადგილობრივი ხელისუფალნი დახმარებას არ უწევენ ჩემს ოჯახსო. ვლადიმერ ილიას-ძემ ოთხრა, ამის შესახებ განიხილოთ ჩემ სახელზე დაწერეო. კურსანტთან საუბრის შემდეგ კრემლის კომენდანტმა მიიღო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის წერილობითი მითითება: „ღიღს უნდა შემოვიდეს რიაზანელი წითელარმიელის გრიგოლ ივანეს-ძე ნიკოლსკის (ა?ვე. კრემლში, კურსებზე) ქალაღი — წერს ლენინი, — მიიღეთ და მომატანეთ დღესვე პირადად მე“.

„დაუყოვნებლივ გამოიძიეთ კურსანტ გრიგოლ ნიკოლსკის საქმე — უკვე მეორე დღესვე უდგებეშა ადგილობრივ ორგანოებს ლენინმა. — „უწერეს თუ არა მის ოჯახს ჯანმოერ დახმარებას პეტროგრადის აღმასკომი? არის თუ არა ესაამოვნები ნიკოლსკისა და აღმასკომს შორის იმის ნიადაგზე, რომ მოვდლის ძმამ მათ მოსაგალი წაართვა? გამოიკვლიეთ. შესრულება მაცნობეთ“.

ი. ი. იაკოვლევი, რომელიც 1917 წლამდე იყო ჩოვაშთან სამსწავლებლო სემინარიის მასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარედ სიმბირსკში, სწერდა ლენინს თავის ბიოგრაფიაზე. 1919 წლის 28 ივნისს ვლადიმერ ილიას-ძემ გაუგზავნა დეპეშა სიმბირსკის საგანგებო კომისიას: „ეარ გამოასახლოთ მოხუცი ივანე იაკობის-ძე იაკოვლევი და მისი მეუღლე ბინდიდან. შესრულება მომახსენონ“.

1919 წლის 5 იანვარს ლენინმა მიიღო დეპეშა სადგურ ვორონეჟიდან მოსკოვში მიმავალი ავადმყოფი და დაჭრილი წითელარმიელისაგან: „ამხანაგო ლენინ! მოგმართავთ თხოვნით გაუწიოთ დახმარება ავადმყოფ, მშიერ და დაჭრილ მეომრებს, რომლებიც ფრონტიდან მიემგზავრებიან. ყოველ სადგურზე თითო დღეს გვაჭერენენ, ფომცა მრავალჯერ ვთხოვეთ პირველად ჩვენ გავიმგზავრეთო“. დეპეშა გაუგზავნა გზათა სახალხო კომისარს ვ. ნიკოლის ვლადიმერ ილიას-ძის რეზოლუციითი: „ნეფედის — ზომების მისაღებად“. კონკრეტული რეზოლუციაა. არ არის საჭირო მეორედ შესხენება ან განმარტება. ყველამ იცის და სჯერა, რომ საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყდება.

1920 წლის 3 სექტემბერს მსახიობი ნ. ნაკოლინა წერს წერილს: „დიდად პატივცემულო ვლადიმერ ილიას-ძევ!

მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობა მაძალებს შეგაწუხოთ უმდაბლესი თხოვნით. 74 წლისა ვარ. აქედან 51 წელი ჩემი ძალონისა და უნარის ყალბობაში ვემსახურე ჩემს საყვარელ მოსკოვს... ეიტოდი რა, თუ როგორ ეშინს ხალხს ბინა. მე თვითონ სიამოვნებით გავიზიარე მათი გასაჭირი და დავოთმი რამდენიმე ოთახი ჩემს სახლში. დარჩა მხოლოდ ჩემთვის აუცილებელი ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი ავეჯი. ვასასალელობ. ახლა ამ ოთახების წართმევით მიმიჩრებიან, ეეეედრებით, დამეხმარეთ... თქვენი მითითებით დაწერილი რამდენიმე სიტყვა ჩემთვის საკმარისი გარანტია იქნება.

ბოლოსწინელი პატივისცემით, სახელმწიფო მცირე თეატრის დამსახურებული არტისტი ნ. ნაკოლინა“.

წერილზე ვლადიმერ ილიას-ძე აკეთებს წარწერას: „შეამოწმეთ და დამირეკეთ. ნუ აწუხებთ“.

1919 წლის 2 ივლისს ვლადიმერ ილიას-ძემ, წაიკითხა რა კოსტრომელი გლეხის — წითელარმიელის მამის ფ. ფ. რაზგულაევის წერილი, რომელიც შეიცავდა საჩივარს ერთდროულად ძალიან დიდი გადასახადის გამო, განცხადებას წაიწერა რეზოლუციას: 1) დაუყოვნებლივ შეაჩერეთ გადახდევინება, რადგან საქმე გვაქვს ლომამფოთელელ ოჯახთან. სამუთები არის. 2) დაინიშნოს შემოწმება“.

1920 წლის 7 აპრილს ქ. რეკეევიდან წითელარმიელი ვ. კოტოგოროვი ლენინს უგზავნის დეპეშას: „დასავლეთის ფრონტის ავტოსახელოსნოების წითელარმიელი ავად გავხდი — ბრცა ნაწლავი ამტკივდა. დიდი ხანი ვიწექი, შემდეგ გამიკეთეს ოპერაციაც; ასეთ ძმიე ოპერაციის შემდეგ კომისიამ ორი თვით გამამთავისუფლა სამსახურიდან. მეტად დასუსტებულმა ვთხოვე ავტოსახელოსნოების ფფრონს ვავიგზავნე საშობლოში დაარგული ჯანმრთელობის აღსადგენად, რომლის შედეგადაც მეტ სარგებლობას მოვიტან ჩვენს რეგოლუციას. თხოვნას ფფრონმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია. დღემდე ვიტანჯები ზემოხსენებულ სახელოსნოებში. გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება ჩემი სამშობლოში გავგზავნის შესახებ. ავადმყოფი ვ. კოტოგოროვი“.

ვ. ი. ლენინი წერს რეზოლუციას რეკოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. მ. სკლიანსკის სახელზე: „გთხოვთ დაეხმართო“.

იარენსკის მაზრიდან ამხ. ჩეკინეევი ლეპეშში იტყობინებოდა, მაზრის ნაწილში მძიმე სასურსათო მდგომარეობა შეიქმნა და წითელარმიელები სუსტ დახმარებას ეუბნენ ნეფედ მეურნეობებსო. 1919 წლის 30 ივლისს ვლადიმერ ილიას-ძე დეპეშას უგზავნის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხ. მ. ფ. ვლადიმირსკის წარწერით: „საჭიროა ენერგიული ზომების მიღება“.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის სახელზე პატარა სახალხო კომისართა საბჭოს ავტომობილი უფროსი იტყობინებოდა, რომ მუშობა დაიწყო 15 დეკემბერს. 19 დეკემბერს რემონტი დამთავრდა. მანქანა გამოიშვეს და გამოსაცდელ 20 დეკემბერს. თუ მხედველობაში მიეიღებთ საშუალის სართულს, ეს ჯადა გვიჩვენებს იმ ენერგიულ მოდგინებასა და სიბეჯითეს, რომლითაც ვის გუბერნიიდან) უჩიოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელთაც, მათი აზრით, უკანონოდ ჩამოართვეს ცხენები. ლენინის დავალებით სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობამ საჩივრები სათანადო კომისიას გაუგზავნა. ამ საქმეს სხვაგვარად შეხედა კომისიის მუშაკმა. მალე წერილი სახალხო კომისართა საბჭოს დაუბრუნდა კონვერტზე წარწერით: „საქმე ისეც ბევრია, ჭვრილმანებზე მუშაობის საშუალება არ არის“.

**ხელმოწერა გაურკვეველი იყო. წერილი ვლადიმერ ილიას-ძეს ეუნვენეს. იგი აღშფოთდა და ამავე კონვერტზე დაწერა: „სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ვ. ავანესოვს: სახელმწიფო კონტროლში, ამგვარი პასუხის გამცემი ჩინოვნიკის დასაპატიმრებლად. ლენინი“.**

ზმორად ვლადიმერ ილიას-ძე განცხადებებსა და წერილებს ადებდა რეზოლუციებს: „რა გაკეთდა?, „რა ზომები იხმარეთ? „გთხოვთ გამოიძახოთ, შეამოწმოთ და შედეგი მაცნობით“. „რა გააკეთეთ? „შეეხეთ და შემახსენეთ“. იგი განცხადებას ჩამოსწერდა ხოლმე, როდესაც დარწმუნდებოდა, რომ საქმე შესრულებული იყო.

მაგალითად, 1919 წლის 14 თებერვალს ვლადიმერ ილიას-ძე კითხულობს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ბ. სეგრბრიაკოვის წერილს. წერილის ავტორი თხოულობდა, განკარგულება გაეცა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მიერ მოსკოვის ტრამვაიზე 24 ვაგონი შეშის თაობაზე დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძე წერს ბარათს გზათა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილის სალელზე: „მარკოვს. მოაგვარეთ ეს საქმე? მთლიანად?“ ს. დ. მარკოვისაგან პასუხის მიღების შემდეგ ბარათზე აკეთებს შენიშვნას: „არქივში“.

ზოგჯერ ვლადიმერ ილიას-ძე წერილებსა და დეპეშებზე აკეთებდა პატარა შენიშვნებს, უბრალოდ ეუსვამდა ხაზს ზოგიერთ აზრს ან აწერდა: „არქივში“.

**უკვდავი ლენინი დიდია იმით, რომ ახალგაზრდა თვითეულისათვის და ყოველთვის ყველას სჭირდებოდა და სჭირდება.**

იდეა 1924 წლის დაუვიწყარი იანვარი. ადამიანები უსიტყვოდ მიემართებოდნენ კავშირის სახლის სვეტებიანი დარბაზისაკენ. ბრიანსკელი გლეხი ოკვე იყო სვეტებიან დარბაზში. მაგრამ ხელმძღვანელ უნდა შესულა. „ძვირფასი მიცვალებული მე მიცნობდა“, უთხრა მან გუშაგს...

სამი წლის წინათ იგი ფეხით ჩამოვიდა მოსკოვში საზოგადოებრივი წესქვილის თაობაზე და ზამოსკვორეჩიეში მიტინგის შემდეგ მივიდა ლენინთან. საქარხნო კლუბის გაბოლილ ოთახში ილიჩი დიდხანს ესაუბრებოდა გლეხს სოფლის საქმეების შესახებ. შემდეგ შენიშნა მისი დახეული ჩექმები. ამოიღო ბლოკნოტი, რაღაც დაწერა და გადასცა. აი ისიც... გუშაგი ფურთხილად, გაყინული თითებით იღებს ბარათს და კითხულობს: „საქმეთა მმმართველობას. ამხანაგებო, მას ჩექმები სჭირდება. ვ. ი. ლენინი“.

**რამდენი ასეთი ნაცნობი ჰყავდა ლენინს!**

სმოლნის ტელეგრაფისტს მარიამ ივანეს ასულ მახონინას ლოგინად ჩაუვარდა დედა, რომელიც დნოს სადგურში ცხოვრობდა. სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო და მახონინამაც სადგურს მიაშურა. მაგრამ გაგგზავნილ მთელი ბატარეული გაჭედილი იყო. სალაროებს იმდენი ხალხი მისწყდომოდა, რომ ვერ მიუდგებოდა. რა ექნა, დაღონებული დაბრუნდა სმოლნში. აქ საგონებელში ჩავარდნილ, შეწუხებულ ქალს ნ. პ. გორბუნოვი შეხვდა — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მდივანი.

როგორც კი მახონინას გასაჭირი გაიგო, გორბუნოვი ვლადიმერ ილიას-ძესთან გაეშურა. ცოტა ხანში კი ლენინის კაბინეტიდან გამოვიდა და მახონინას ბარათი გადასცა. ამ დოკუმენტში ეწერა:

„1917 წ. 22.XII.

ცარსკოე სელოს ვაგზლის კომისარს.

გთხოვთ ამ ბარათის წარმომდგენს მახონინას უფრიგოდ მისცეთ ბილეთი დნოს სადგურამდე.

სახკომსაბჭოს თავმჯდ. ვ. ულიანოვი (ლენინი).“

რამდენი ასეთი მინაწერი გაუკეთებია ბელადს.

მრავალ წერილს ბელადი პირადად უპასუხებდა. სხვა შემთხვევაში ავალებდა გაეკეთებინა, გამოესწორებინათ საქმე. ბევრ წერილზე პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო. — სამოქალაქო ომი, ნგრევა, შიმშილი ერთ წუთ თავისუფალ დროს არ უტოვებდა, როგორც იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

და აი, ალბა, როცა ჩვენ პრინციპულობისა და შეურიგებლობის მაგალითი გვქონდება, ლენინზე ვფიქრობთ, როცა ჰუმანურობისა და ადამიანზე ზრუნვის მაგალითი გვქონდება, ჩვენ ისევ ლენინზე ვფიქრობთ და ყოველთვის წარმოგვიდგება ის — ყველაზე უბრალო და ყველაზე ადამიანური ადამიანი.

ჩვენი პარტია, სკკპ ცენტრალური კომიტეტი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს, მათზე დროულად რეაგირებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტში სავსებით სწორად არის გათვალისწინებული მუხლი 49, რომელშიც ნათქვამია:

„სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ორგანებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. თანამდებობის პირნი მოვალენი არიან კანონით დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებ

ტელეტაიპი გადმოგვცემს

# მსოფლიოს ამბები

## ფთამაგონეგელი მაგალითი

**სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია თვალსაჩინოდ მოწმობს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას — ახლთია ლეიტმოტივი მრავალრიცხოვანი გამოხმაურებისა, რომლებიც ამ დღეებში მოდის მსოფლიოს ყველა კუთხიდან. მსოფლიო პრესა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ანალიზებენ და განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტს.**

**პორტუგალია.** საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და გაღრმავება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარი ნიშანია, ხაზგასმით აღნიშნავს ლისაბონის გაზეთი „დიარიუ პოპულარი". ახალი კონსტიტუციის მიღება კიდევ ერთხელ უჩვენებს მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილია საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს სოციალური სტაბილურობა, ყველა მისი დაწესებულების სიმწიფე, ადამიანის უფლებათა სრული გარანტია. პროექტში საბჭოთა მოქალაქეების მოვალეობათა შესახებ სტატიებიდან ერთ-ერთს — ემსახურება ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს, იცავს სოციალისტური საზოგადოებ ი ს, მთელი ხალხის ინტერესებს.

ბეჭდვითაბეჭილი პრესის ბევრი ორგანო კონსტიტუციის პროექტს განმარტავს წინასწარ აკვიატებული, ანტისაბჭოთა პოზიციებიდან. ისინი ცდილობენ დაამახინჯონ პროექტის ცალკეული დებულებები ანრი და ამრიგად შეცდომაში შეიყვანონ თავიანთი კითხველები.

ნეგეულებისამებრ იმპერიალისტურ იდეოლოგიებს მხარდამჭერ მიჰყავებიან პეკინელი პროპაგანდისტები. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტში მათ არაფერი არ მოსწონთ. მათს განსაკუთრებულ გაბოროტებას იწვევს პროექტის ის დებულებანი, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის საერთო-სახალხო სახელმწიფო, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა. ცხადია, რომ პეკინელი პროპაგანდისტების გაბოროტებას იწვევს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება.

**აშშ.** რა ფანდსაც უნდა მიმართონ ანტისაბჭოეობის სტრატეგებმა, რაც უნდა შეეცადონ დაამახინჯონ სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი იძლევა ნამდვილი მოქალაქეობრივი უფლებების გარანტიას, რომლებიც განუყოფელია სოციალისტ ურ ი სამშობლოს წინაშე საბჭოთა მოქალაქეების მოვალეობებისა გ ან, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის ეროვნული ცენტრის ეროვნულმა კოორდინატორმა **პოლინ როზენმა. საკონსტიტუციო წესით საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დამკვიდრება კიდევ ერთხელ აღასტურებს, რომ საბჭოთა ხალხი იბრძვის საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.** ამერიკის მშვიდობის მომხრენი ცდილობენ აიძულონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყური მიუგდოს საღი აზრის ხმას და განაორციელოს მშვიდობისა და განიარაღების განმტკიცების ხელშემწყობი დონისძიებანი, თქვა დასასრულ ჯ. როზენმა.

**გფრ.** დაასაბუთა რა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, წერს დასავლეთ გერმანიის გაზეთი **„უნზერე ციაიტი"**, ლ. ი. ბრეჟნევმა პირველ პლანზე დააყენა შრომის უფლებისა და სხვა ძირითადი სოციალური უფლებების გარანტია სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

დასავლეთ გერმანიის მეორე გაზეთი **„ანდერლანდატი"** აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტში ენიჭება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების პრინციპებს. **ახალი კონსტიტუციის პროექტი, აცხადებს გაზეთი, განამტკიცებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, რომელიც შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის აქტიური მონაწილეობით.**

**ლიბანი.** მსოფლიოს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში ადამიანს არა აქვს მინიჭებული ისეთი უფლებები, როგორც სოციალისტურ ქვეყანაში, წერს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზეთი **„ან-ნიდა"**. დემოკრატიის შემდგომი განვითარება, აუცილებელი და კიდევ უფრო ფართო პირობების შექმნა ამ უფლებების განაორციელებისათვის ახალი საბჭოთა კონსტიტუციის განმასხვავებელი ნიშანია. (საკდესი).

## გამარჯვების რწმენა

ლუის კორვალანის პრეს-კონფერენცია

**ჰავანა,** (საკდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა მოუწოდა განამტკიცოს სოლიდარობა ჩილელი პატრიოტების ბრძოლისადმი ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ. საერთაშორისო სოლიდარობამ, ხაზი გაუსვა მან, სიცოცხლე შეუნარჩუნა ხუნტის ბევრ ტუსაღს, იგი ძალ-ღონეს მატებს ჩილელ ანტიფაშისტებს.

ჩილეს კომუნისტური პარტიისა და სახალხო ერთიანობის სხვა პარტიების მთავარი ამოცანაა, აღნიშნა ლ. კორვალანმა, მთელი ანტიფაშისტური ძალების შეკავშირება რეაქციული რეჟიმის დამხობისათვის.

ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ პინოჩეტმა ვერ შესძლო ჩიეხშო განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყანაში, მოესპო პროგრესული პარტიები, ფაშისტური იდეები დაენერგა მასებში. ჩილელთა დიდი უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა, განაცხადა მან.

დასასრულ მან გამოთქვა რწმენა, რომ ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს პინოჩეტის ფაშისტურ რეჟიმზე და ქვეყანაში აღდგება დემოკრატიული წყობილება.

## პენტაგონის მითითებით

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში გაიმართა მსობრივი საპრეტესტო მიტინგი პენტაგონის მიერ უგუნური გამალებული შეიარაღების გაღვივების წინააღმდეგ ორგანიზაციების: „ამერიკელ მეგობართა კომიტეტი საზოგადოების სამსახურში", „შემფოთებული მოვალეები და ერასკაცნი", „განიარაღების ფონდი", „ქალები, იბრძოლეთ მშვიდობისათვის" და სხვა ორგანიზაციების ინიციატივით. უნივერსიტეტში შეიკრიბნენ სტუდენტები და მასწავლებლები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ვაშინგტონში ახალი ადმინისტრაციის მმართველობის პირველი თვეები მოწმობენ, რომ შეერთებული შტატები არ აპირებს გამალებული შეიარაღების შეკვეცას, განაცხადა მიტინგის განსხნისას ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პეტ კონუეიმ. პრეზიდენტობის კანდიდატის ჯ. კარტერის მიერ დადებული პირობა, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებდა სამხედრო ხარჯებს, მას საკმაოდ დაავიწყდა იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა. ყველაფერი მოწმობს, რომ ჯ. კარტერი, ისევე როგორც მისი წინამორბედნი თეთრ სახლში, მოქმედებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და პენტაგონის მითითებით.

ნიუ-იორკის საზოგადოებრიობის კრებამ მოუწოდა გაუალონ ფართო საპროტესტო კამპანია გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგალითად, 20 ივნისს ვაშინგტონში, როგორც ფორუმზე გამოცხადეს, თეთრ სახლთან მოეწყობა მასობრივი დემონსტრაცია ძვირადღირებული ბომბდამშენის „ბ-1"-ის შექმნის პროგრამის წინააღმდეგ.

## დაპირებების მიუხედავად

**ვაშინგტონი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტ ჯ. კარტერს შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა — ახალი სტრატეგიული ბომბდამშენის „ბ-1" მშენებლობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიოდნენ სენატორები ჯ. მაკკოვერნი, ე. კენედი, ტ. კეისი, წარმომადგენელთა პალატის წევრი ტ. დაუნი. ისინი ცდილობდნენ დარწმუნებინათ პრეზიდენტი ხელი აეღო ძვირადღირებულ გეგმებზე, რომლებიც, სულ ცოტა 25 მილიარდი დოლარი დაჯდება, და მოაგონეს კარტერს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს იგი გამოდიოდა „ბ-1"-ის მშენებლობის წინააღმდეგ.**

სენატორმა მაკკოვერნმა პრეზიდენტთან შეხვედრაზე თქვა, რომ „ბ-1"-ის პრობლემის გადაჭრაზე დამოკიდებულია თეთრი სახლის ახლანდელი ხელმძღვანელობანდობა. მაკკოვერნმა გაიხსენა, რომ ერთი წლის წინათ კარტერმა დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე განაცხადა: „ბ-1" „ეკონომიკური და ძვირადღირებული თვითმფრინავია" და არაფერს არ შემატებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ეფექტიანობასთან.

მაგრამ კონგრესის წევრთა მოსაზრებებმა ამკარად ვერ დაარწმუნეს პრეზიდენტი. წარმომადგენლთა პალატის წევრებმა რ. დრაინენმა და რ. დელუმმა კორესპონდენტებს განუცხადეს, რომ მათი აზრით, კარტერი აპირებს შეუდგეს „ბ-1" ფლოტის შექმნას.

## სამშობლოში გაემგზავრა

**11 ივნისს** მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვიზიტით იყო ურთიერთმეთანხმების შესაბამისად.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკიროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

## სსრ კავშირ-ამერიკის კომისიის სხდომა

**10 ივნისს** მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის ურთიერთობისა და თანამშრომლობის კომისიის სხდომა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს 1973 წლის 19 ივნისს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული საერთო შეთანხმების შესაბამისად დასახული ერთობლივი და პარალელური კვლევის შესრულებამდე მიმდინარეობა.

## ეცნობიან საქართველოს

**საქართველოში** ჩამოსულა ძალზე საინტერესო და სასარგებლო გამოდგა. ჩვენ ვნახეთ, რა დინამიკურად ვითარდება რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, განაცხადა გაბონის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლეონარდ ბაღინგამ.

ასეთივე აზრის არიან საბჭოთა კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ სხვა სელჩოთა მეთაურებიც, რომლებიც ოთხ დღეს იყვნენ საქართველოში. სტუმრები თბილისის გარდა ეწვივნენ ქუთაისს, სადაც, კერძოდ, გაეცნენ ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას. წყალტუბოში მათ შესაძლებლობა მიეცათ ენახათ, თუ როგორ არის გარანტირებული საბჭოთა კავშირში მშრომელთა დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის უფლება. კურორტის ჯანმრთელობის კერებში ყოველწლიურად ასი ათასი კაცი მკურნალობს.

სტუმრები იყვნენ მახარაძის რაიონში, დაინტერესდნენ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებით. ამ მეურნეობის წარმატებებს ისინი ნატანების ჩაის კოლმეურნეობის მაგალითით გაეცნენ.

საელჩოთა მეთაურების რესპუბლიკაში მოგზაურობა ბათუმში დამთავრდა. აქედან ისინი 10 ივნისს მოსკოვში გაემგზავრნენ. (საქინფორმი).



# ხელოვნური ფრენა ბიმ-ფრითქა

## ენერგეტიკული დედამიწელებს

**ცნობილია, რომ ყოველგვარ ენერგიას, რომელსაც დღეს კაცობრობა იყენებს, მზე წარმოშობს. ქვანახშირი, ნავთობი, ტორფი, გაზი სხვა არაფერია, თუ არა იმ ფლორისა და ფაუნის „ნარჩენები", რომლებსაც ოდესღაც მზის მაცოცხლებელმა სხივებმა „სული ჩაუდგეს". თვით შუშაც კი მზის ენერგიის ერთ-ერთი ფორმათაგანია, ოღონდ, როგორც ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა ხატოვნად თქვა, „მოხერხებულად შეფუთული".**

**მაგრამ ამავე დროს მზის ენერგიის ეს მარაგი ჩვენს პლანეტაზე უსასრულო როდია და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ქვეყნების სწრაფი ინდუსტრიული განვითარების კვალობაზე, თუნდაც შორეული პერსპექტივის თვალსაზრისით, ცხადია, მცირდება.**

**ენერგეტიკული „შიმშილის" საშიშროების დაძლევის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი სახეობის ენერგეტიკული წყაროების ძიების საკითხი. ამ მხრივ პირველი და ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენს საუკუნეში სულ ცოტა ხნის წინათ გადაიდგა, როდესაც საფუძველი ჩაეყარა და სწრაფად განვითარდა ატომური ენერგეტიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ატომური ელექტროსადგურების საწვავის — ურანის მარაგია ამოუწურავი.**

**ამასთან ენერგეტიკის ეს ცნობილი წყაროები წვის პროდუქტებით დიდ ზიანს აყენებენ გარემოს და კვლავ მთელი სიმწვავით დგება ბუნების სიწმინდის, მისი გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხი.**

**ამიტომ პრობლემის გადაწყვეტის ძიებამ მსოფლიოს მეცნიერები დედამიწაზე არსებული ენერგეტიკული რესურსების სათავეებთან მიიყვანა და ეგრეთ წოდებული მზის „წყალბადის ლუმელის" დედამიწისებური ვარიანტის, როგორც ფიზიკოსები ამბობენ, დედამიწაზე ხელოვნური მზის შექმნის პრობლემის წინაშე დააყენა.**

**აღნიშნული პრობლემის არსის, ჩეხი გადაჭრის გზაზე სადღეისოდ უკვე მიღწეული შედეგებისა და პერსპექტივების თაობაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ჯუმბერ ლომინაძეს, რომელიც ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და სულ ახლახან თბილისში დაბრუნდა, ესაუბრა „კომუნისტის" კორესპონდენტი ბ. სამსონაძე.**

— საკითხი ეხება ენერგიის ყველაზე იაფი და პრაქტიკულად უშრეტი წყაროს მიღებას, კერძოდ, კი დედამიწის პირობებში ისეთივე პროცესების მიღწევას, რომლებიც მზისა და სხვა ვარსკვლავებზე მილიარდობით წლების მანძილზე მიმდინარეობს და რის შედეგადაც ფანტასტიკური ენერგია გამოიყოფა. ეს პროცესი გახლავთ თერმობირთვული რეაქცია, რომელშიც მონაწილეობს თითქმის უფასო საწვავი... ჩვეულებრივი წყალი, უფრო სწორად მასში არსებული ძმიმე წყალბადი ანუ დეიტერიუმი. საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ასეთი მაგალითი: ერთი ლიტრი ჩვეულებრივი წყალი შეიცავს ოთხ მილიარდ დეიტერიუმს, რომლის ენერგია შეესაბამება 300 ლიტრი بენზინის ენერგიას, ამდენად, თუ თერმობირთვულ რეაქციაში იმ დეიტერიუმის რაოდენობას გამოვიყენებთ, რასაც ატომაწყვანის რადიატორში ჩასხმული წყალი შეიცავს, მაშინ მიღებული ენერგია საკმარისი იქნება დედამიწის ირგვლივ მანქანით რამდენიმეჯერ შემოვლასთვის.

ამრიგად, კაცობრობას უკვე ხელთა აქვს მომავალი თერმობირთვული რეაქტორის ნედლეულის ფაქტიურად ულევი მარაგი მსოფლიო ოკეანის სახით.

მეცნიერებმა დედამიწაზე 1952 წელს პირველად „ანაზორიელეს" ინამართვადი თერმობირთ ვ ი ლ ი რეაქციაც, როცა პირველი წყალბადის ყუმბარა გამოსცადეს. მაგრამ ამერიკელ მეცნიერთა მთავარი საზრუნავია თერმობირთვული რეაქციის პროცესის სასურველი დროით გახანგრძლივება, მისი დამორჩილება, მისი მართვა, ამიტომ მეცნიერებმა ამ პრობლემას მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემა უწოდეს.

მართალია ადამიანმა შეძლო ურანის ბირთვების რეაქციის დამორჩილება და მისი ატომურ რეაქტორში „დამწყვდევა", მაგრამ თერმობირთვული რეაქციის „მოდმევი სამკიდროს" საკითხი გაცილებით რთულია და ჯერჯერობით ღიად რჩება.

საქმე ეხება იმას, თუ რამ უნდა შეაკავოს ხანგრძლივი დროით ასობით მილიონ გრადუს ტემპერატურამდე გაფარვარებული პლაზმა, რაც თერმობირთვული რეაქციის შედეგად მიიღება.

საბჭოთა ფიზიკოსებმა წამოაყენეს ორიგინალური იდეა, რომ ისე როგორც მზეზე გაფარვარებულ პლაზმას გრავიტაციული ძალები არ აძლევენ გაფანტოების საშუალებას, დედამიწაზეც პლაზმის „მოთოკვა" მოხდეს ხელოვნურად შექმნილი ელექტრომაგნიტური ველებით. ამ იდეის საფუძველზე შეიქმნა პირველი თერმობირთვული დანადგარები, რომ ლ თ ა სრულყოფის საკითხებზეც ამჟამად ინტენსიურად მუშაობენ მსოფლიოს მრავალი, ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო ცენტრები.

**— რას იტყოდით საბჭოთა მეცნიერ ფიზიკოსთა მონაწილეობაზე ჩვენი საუკუნის ამ ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის გადაჭრის საქმეში?**

— როგორც ზემოთ აღვნაშნეთ, გავარვარებული პლაზმის ელექტრომაგნიტური ველებით შეკავების იდეა პირველად საბჭოთა ფიზიკოსებმა ჯერ კიდევ 1950 წელს გამოთქვეს.

ასეული უნდა აღინიშნოს ის უდიდესი წვლილი, რომელიც საბჭოთა ფიზიკოსებმა შეტანეს პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემის თეორიული ბრძოლის დამუშავებაში, საყოველთაოდ აღიარებულია, მაგალითად, აკადემიკოსების ე. გელოხოვის, ბ. კადომცევის, რ. სიგდეევის და სხვათა გამოკვლევები.

არსებობს პლაზმის შეკავების მრავალი ხერხი, მაგრამ ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება თერმობირთვული დანადგარი „ტოკამაკი", რომელიც ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის ხელმძღვანელობით შეიქმნა. 1969 წელს ამ დანადგარზე მიღებულმა შედეგებმა სენსაცია გამოიწვია, ხოლო 1970 წლიდან დაიწყო „ტოკამაკების" „ექსპორტი" საზღვარგარეთ, ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა ქვეყანაში.

— ამ მეცნიერული რევოლუციის პრობლემა ოკეანეში ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების პლაზმის ფიზიკის ტრადიციული კონფერენციის მუშაობაში, ხოლო დეკემბერში — პრინსტონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც განიხილავდა, როგორც ადრე მოგახსენეთ, მსოფლიოში არსებულ ოთხ ძირითად პროგრამას პლაზმის ფიზიკის დარგში. წლეულს იანვარში მიწვეული ვიყავი ატლანტიკურ ენერგეტიკულ პლაზმის თეორიის საკითხებზე გამართულ სამუშაო თათბირზე.

ამერიკელმა კოლეგებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მონაწილეობა მიმეღო წლეულს მაისში ჭ. სან-დიეგოში გამართული ყოველწლიური კონფერენციის მუშაობაში და მომეხსენებინა ჩემ მიერ მიღებულის დროს ორი ერთობლივი გამოკვლევის შედეგები, რისთვისაც მივლინების ვადა კიდევ სამი კვირით გამიგრძელდა. ამან საშუალება მომცა მონაწილეობა მიმეღო ატლანტიკის ფიზიკოსთა საზოგადოების ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების ერთობლივ სამუშაო თათბირებში. ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო იმის შეტყობაც, რომ გამომცემლობა „პერგამონპრესი" აპირებს ჩემი მონოგრაფიის — „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში" — ინგლისში გამოცემას.

**— რაღა თქმა უნდა, მკითხველებს უთუოდ დაინტერესებთ, თუ როგორია მეცნიერთა თუნდაც მიახლოებითი პროგნოზი პირველი თერმობირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ?**

— ამ უკანასკნელ წლებში მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემა და შესაბამისი პროგრამა გულდასმით გადაისინჯა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ წრეებში. ვარაუდობენ, რომ პრაქტიკულად მოქმედი თერმობირთვული ელექტროსადგური ექსპერიმენტის შეიძლება ჰქონდეს ჩვენი საუკუნის ბოლოს. მანამდე კი საჭიროა მეცნიერთა ერთობლივი დაძაბული შრომა, ძიება.

როცა ერთხელ მეფემ ევკლიდეს ჰკითხა, გეომეტრიის დაუფლების უმარტივესი გზა რომელიაო, მან უპასუხა, გეომეტრიაში სამეფო გზა არ არსებობსო, ასევე არ არსებობს სამეფო გზა მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემის გადაჭრაში. ეს გზა მეტად რთულია და წინაღმდეგობით არის აღსავსე, მაგრამ ყველას, ვინც მას ადგას, ერთი მიზანი ამოძრავებს — თერმობირთვული ენერგიის კაცობრიობის სამსახურში ჩაყენება.



**სურათზე: ჯ. ლომინაძე (მარცხნიდან მესამე) ოკ-რიჯის ეროვნული ლაბორატორიის პლაზმის ფიზიკის განყოფილების ფიზიკოსებთან ერთად მოხსენების წაკითხვის შემდეგ.**

## იქ, სადაც კაპიტალი გატონოგს

# უუფლებოების სამყაროში

**ადამიანის უფლებები კაპიტალისტურ სამყაროში — ეს არის უმუშევრობისა და ფიმფილის „უფლება", უმომავლო, უიმედო ცხოვრების „უფლება". ძალადობისა და თვითნებობის მსხვერპლად გახდომის „უფლება".**



**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მილიონობით მოქალაქე ჩაგვრისა და უკიდურესი სიღატაკის პირობებში ცხოვრობს. ათასობით აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი დილეგებშია დამწყვდეული. მათ კი, ვინც „გაათავისუფლეს", არც საცხოვრებელი ადგილის შერჩევას და არც სამუშაოს შოვნის საშუალება აქვთ. 65 წლის რობერტ სეკვალანე და 73 წლის ჯონ მორეკეზერე (სურათზე ზემოთ მარცხნივ), რომლებმაც ცხოვრების მეტი წილი ერთ-ერთ სამხრეთ-აფრიკულ ფერმაში იმუშავეს, პენსიის მოუცემლად დაითხოვეს;**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც წარამარა გაიძახიან საზღვარგარეთ „ადამიანის უფლებათა „დარღვევის" შესახებ, რასიზმი და დისკრიმინაცია მძვინვარებს, რომლის მსხვერპლნი ხდებიან ზანგები, ინდიელები, მექსიკელები და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.**

**სურათზე: (ზემოთ მარჯვნივ): ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დემონსტრაცია თავიანთი უფლებების დასაცავად;**

**ტელ-ავივი აქტიურებს დაპყრობილი არაბული მიწების ანექსიის პოლიტიკას, რისთვისაც არაბებს მშობლიური ადგილებიდან ასახლებს. აი ასეთ არაადამიანურ პირობებში (სურათზე ქვემოთ) ცხოვრობს ასობით არაბული ოჯახი, რომლებიც ისრაელის ხელისუფლებამ მშობლიური მიწებიდან აყარეს.**

**საკდესის ფოტო.**

# შეწყდეს უკანონობა

**ბენ ჩეივისის წერილი პრეზიდენტ ჯ. კარტერს**

**ნიუ-იორკი. (საკდესი). ბენჯამინ ჩეივისმა, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის იმ მებრძოლთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, რომლებიც უდანაშაულოდ ჩაყარეს დილეგში, კვლავ მოუწოდა პრეზიდენტ ჯ. კარტერს შეწყვიტოს უკანონობა „უილმინგტონის ათეულის" მიმართ, გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი შეერთებულ შტატებში.**

**იმასთან დაკავშირებით, რომ „უილმინგტონის ათეულის" ამორალური და უსამართლო პატიმრობა გრძელდება, საჭიროდ მივიჩნიე მეორედ მომეწერა თქვენთვის, რომ უხეშად იღღვევა ჩვენი უფლებები, ნათქვამია თეთრ სახლში პირველ ივნისს გაგზავნილ წერილში. ბენ ჩეივისი ხაზს უსვამს, რომ უკვე ექვსი წელია „უილმინგტონის ათეული" არის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოფული რასისტული წესების მსხვერპლი.**

**ჩემი წერილის შემდეგ, რომელიც 1977 წლის 4 მარტს გამოგზავნეთ, აღნიშნავს ზანგთა ლიდერი, ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა. კვლავინდებურად რასისტული და პოლიტიკური სასამართლო სჯის ათ უდანაშაულო მსხვერპლს. კვლავ სიპატიმროებში არიან თავიანთი მრწამსისათვის პოლიტიკური პატიმრები.**

**ჩვენ 282 წლის პატიმრობა მოგვესაჯა არა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, არამედ შეერთებულ შტატებში მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის მოძრაობაში მონაწილეობისათვის.**

**ბენ ჩეივისი აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა ცდები შეერთებული შტატები „დემოკრატიის შუქურად" და „ეტალონად" ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში. იგი წერს, რომ „უილმინგტონის ათეული", — „მარლოტის სამეული", „დაუსონის ხუთეული" და ამერიკის შეერთებული შტატების ასობით სხვა მოქალაქე დაპატიმრებული არიან რასობრივი კუთვნილებისათვის, მრწამსისა თუ პოლიტიკური საქმიანობისათვის.**

**კვლავ მოგიწოდებთ, ბატონო პრეზიდენტო, ყველა ამერიკელი პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება გადააქციოთ უპირველეს მნიშვნელობის ეროვნულ ამოცანად, წერს ბენ ჩეივისი. თქვენს მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს დავრჩებით საპატიმროში.**

**ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ბენ ჩეივისის მეორე წერილია. პირველ წერილზე, რომელიც მან სამ თვეზე მეტი ხნის წინათ გაგზავნა თეთრ სახლში, დღემდე არ მიუღია პასუხი.**

# აქ იბადება „ბორჯომი“



**მ**ყუბრად და ზუსტად მომუშავე კონვეიერიდან ზედიზედ ჩამოდის მანქანური წყლის „ბორჯომის“ ნახევარლიტრიანი ბოთლები. ლამაზი ეტიკეტებით დამშვენებული ეს ბოთლები იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში.

საეტიკეტო ავტომატებს მართავს ახალგაზრდა მუშა ნანა გამხარაშვილი.

დიდი არ არის მინერალური წყლის „ბორჯომის“ ჩამომხსმელ საწარმოო გაერთიანებაში მისი მუშაობის სტაჟი, მაგრამ იგი უკვე საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მუშად ითვლება, ამას წინათ კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა.

გაერთიანებაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მესამოცეა წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. ნანა გამხარაშვილი ერთ-ერთი პირველი დადგა სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მარჯვნივ — საწარმოს მოწინავე მუშა ნანა გამხარაშვილი; „ბორჯომის“ ჩამოსასხმელი ავტომატი. მისი სიმძლავრე ხაათში 24 ათასი ბოთლია.

**Ვ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲛᲝᲠᲩᲣᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ**

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ᲠᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ XXIX ᲩᲔᲛᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა, საიდანაც სათავეს იღებს ნორჩთა სპარტაკიადები, პირველად 1936 წელს გაიმართა ცალ-ცალკე სპორტის რამდენიმე სახეობაში რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თაოსნობით.

თუ თვალს გადავავლებთ იმ პირველი სტარტიდან დღემდე განვლილ გზას, ნათელი გახდება ის დიდი წვლილი, რომელიც ნორჩ სპორტსმენთა ახალგაზრდობამ შეიტანა რესპუბლიკის სპორტულ მატიანეში. ყველა სახელოვანმა სპორტსმენმა, რომლებმაც თვალსაჩინო მიღწევებით გაამდიდრეს არა მარტო საქართველოს, არამედ მოლიანად საბჭოთა კავშირის სპორტული მოძრაობა, სკოლის ბაზებზე მოსწავლეთა შეჯიბრებებში გადადგა პირველი ნაბიჯები. დღეს კი მთაგან მაგალითს იღებს ნორჩი თაობა.

მოსწავლე სპორტსმენებისადმი თავიანთი ყურადღება ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა ნ. გაფრინდაშვილმა, ვ. სანეიმა, ლ. თედიაშვილმა, რ. შავლაყაძემ, რ. რურუამ, გ. კარტოზიამ, მ. ჯუღელმა, გ. შარაბიძემ, შ. ჩოჩიშვილმა, ზ. საკანდელიძემ, მ. ქორქიამ, ნ. ანპილოგოვმა, ო. ფხაკაძემ, ნ. ასათიანმა, ო. ლეკვეიშვილმა, ა. მეტრეველმა, თ. კაკულიამ, რ. სიხარულიძემ, პ. შამუგიამ გამოხატეს სპარტაკიადის მონაწილეებისადმი — ნორჩი სპორტსმენებისადმი მიმართვაში: „ჩვენ მუდამ თქვენთან ვართ, გამოიყენეთ ჩვენი გამოცდილება. მრავალრიცხოვან გულშემატკივრებთან ერთად დიდი იმედითა და სიყვარულით ვადევნებთ თვალყურს, თქვენს ყოველ ნაბიჯს, ყოველ მნიშვნელოვან გამოცდას“.

ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის უმთავრესი ბირთვის—სასკოლო ფიზკულტურის წინსვლა-განმტკიცებისთვის ზრუნვა ბოლო ხანებში რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. მთავარი ამოცანა ის გახლათ, რომ ნორჩმა თაობამ, ჩვენი ქვეყნის მომავალმა მოქალაქეებმა ფიზკულტურული განათლება სკოლაშივე მიიღონ. ფიზკულტურული „უწიგნურობის“ წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საერთო-სახალხო განათლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილი, სწორედ სკოლაში უნდა დაიწყოს. ამაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული სკოლაში უპირველეს ყოვლისა ფიზიკური აღზრდა და შემდეგ სპორტმასობრივი მუშაობა, დამოკიდებულია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასშტაბურობა. რაღა თქმა უნდა, ამ ამოცანის წარმატება განსაზღვრავს ქართული სპორტის იმ მდიდარი ტრადიციების მომავალსაც, რომელსაც უფროსებისაგან ესტაფეტა-ოთხი ხელი იღებს ახალგაზრდა თაობა.

მოსწავლეთა წლევანდელმა სპარტაკიადამ მკაფიოდ უნდა დაგვანახოს იმ დიდი, ენერგიული შრომის შედეგი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 3 ივნისის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ განაწია საქართველოს განათლების სამინისტრომ სასკოლო ფიზკულტურის თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე ასამაღლებლად. დღეს სწორედ იმ ნორჩ სპორტსმენთა თაობა გამოდის სარბიელზე, რომლებსაც განსადგმოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში და 1980 წელს მოსკოვში XXII ოლიმპიურ ასპარეზობაში მოუწევთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. რაგორც ხედავთ, მოსწავლეთა წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადა მრავალმხრივ არის საგულისხმო და საყურადღებო.

არა მარტო მასობრიობა სპორტის სამსასურში, არამედ სპორტიკ მასობრიობის სამსახურში — ამ პრინციპმა განსაზღვრა წლევანდელი სპარტაკიადის გეოგრაფია. თბილისის გარდა, ფინალურ შეჯიბრებებს მასპინძლობენ ბათუმის, სოხუმის, გუდაუთის, ქუთაისის, ფოთის, თელავისა და ამბერის სპორტული ბაზები. ეჭვი არ არის, სპარტაკიადა ამ ქალაქებსა და რაიონებში სპორტის ქმედითი პროპაგანდის მაგალითად გადაიქცევა, ხელს შეუწყობს ფიზკულტურასა და სპორტში ნორჩი თაობის მასობრივ ჩაბმას.

**თ. გაჩიჩილაძე.**

□

## ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐᲜᲘ

**რესპუბლიკის** სპორტულ ბაზებზე მეორე კვირაა ძიდინარეობს საქართველოს მოსწავლეთა 29-ე სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები.

ახლახან ფინიშში ჰქონდა მოკრივეთა ასპარეზობასაც, რომლებიც პირველობას ბათუმში ეცილებოდნენ ერთმანეთს. რინგზე 12 გუნდის 110 ჭაბუკი გამოვიდა. პირველობა ქუთაისელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზეა თბილისის გუნდი, მესამეზე — აჭარისა. წოხითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ფანტელია (რუსთავი), ნ. ხარაშვილი (ქუთაისი), ა. სვეტლიაღი (რუსთავი), გ. სიმონია (აჭარა), ი. ყორდანია (ფოთი), ა. მანკიანი (თბილისი), რ. ფოჩხუა (ფეხბურთი), ი. ქოსოლია, ა. ყურაშვილი, გ. ჯუმბერიძე (ყველა — ქუთაისი), გ. სუხორუკოვი (თბილისი) და კ. ბალახვი (აჭარა).

მოფარიკავეთა ტურნირი გახსნეს ხმლითა და რაპირით შებრძოლმა სპორტსმენებმა. ხმლით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვა ფეხბურთის გუნდმა, მეორე ადგილზეა თბილისის, მესამეზე — წყალტუბოსი. რაპირისტთა შორის უძლიერესნი იყვნენ თბილისელები, მომდევნო ადგილებზე არიან რუსთავისა და ქუთაისის მოფარიკავეები. პირადი შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ზ. გაგნიძემ (ხმალი) და ვ. ქოქაძემ (რაპირა).

## ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲡᲙᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲜᲐ-Ი ᲤᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**

**თბილისის** ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მას არაერთხელ მოუგვრია მაყურებლისათვის სპარული, კარგი გუნება და... ღიმილი. ამბობენ, კაცს ყველაზე ძალიან სწორედ ღიმილი ალამაზებსო და თუ ასეა, მუსიკალურ თეატრს სილამაზე ჩვენთვის მრავლად მოუტანია. მის ორმოცდაათწლოვან გზას თუ გადავხედავთ, რამდენიმე თაობის მონაცვლეობას დავინახავთ, რომლებიც დიდი სიყვარულით აგებდნენ ამ „ძალიერებული მხიარულების შენობას“. მაყურებელი მუდამ სამოვნებით მიემართებოდა ამ თეატრისაკენ. როგორც ყველა შემოქმედებითს კოლექტივს, მუსიკალურ თეატრსაც ჰქონია ცხოვრებაში ავდარი, მაგრამ უმეტესად მისი მზის სხივი სასიამოვნო სითბოს აფრქვევდა.

ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში სპექტაკლების **საიუბილეო კვირეულია: ორშაბათს, 13 ივნისს** კვირეულის პირველი სპექტაკლი იქნება — დ. შოსტაკოვიჩის ოპერეტა „მოსკოვი — ჩერიომუშკი“, **14 ივნისს** — ამერიკელი კომპოზიტორის მიჩელის მუსიკალი „ლამანჩელი“, **15 ივნისს**, დილით — ი. ბობოხიძის „ბუფატინო“, საღამოს შ. მილორავის „მეზობელი კარისაკენ“, **16 ივნისს** — ნ. ჭუბაბრიას კომედია „ქალაქში დადის მომავალი“, რომლის მუსიკა ო. თაქთაქიშვილის სიუტის „მეგრული სიმღერების“ თემებზეა გაკეთებული, **17 ივნისს** — გ. ცაბაძის ოპერეტა „მარანდოლინა“, **18 ივნისს** შ. მილორავასა და მ. თარხნიშვილის „ნანჩურა“ და კვირეულის დასასრულს, **19 ივნისს**, გაიმართება დასკვნითი საიუბილეო საღამო-კონცერტი.

## ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲠᲢᲘ

### ᲢᲠᲐᲕᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

**მ**ართლაც რომ დიდად დაინტერესდებიან პატარა მაყურებლები ხუთი წლის მოსკოველი ბიჭუნას ტრავიას ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლით. ტრავია ჭუჩაში გამოვიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბევრი რამ გადახდა ტრავიას, ვინ იცის რა შიში იწვნია მისმა მშობლებმა, მაგრამ კეთილი ადამიანებისა და გონიერი პარტიელების დახმარებით ტრავიამ მოახერხა შინ დაბრუნება.

ხ. როზანოვის მოთხრობების მიხედვით სცენარი ფილმისთვის დაწერა ვ. გოლოვანოვმა. დამდგმელი რეჟისორია ა. კორდონი. ოპერატორი — ა. დუბინსკი.

პატარა ტრავიას როლში ვიხილავთ პეტია დეგტიარიოვს, რომლის პარტნიორები არიან მარინე ვოშჩინინა, ოლეგ ფაკოვი და სხვ. (მოსფილმი).

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

# ᲩᲐᲣ-ᲩᲐᲣ

**ᲩᲔᲛᲘ** მეზობელი, ძაღლების ტრფიალს, უფრო ზუსტად, ძაღლების გიჟს რომ იტყვიან — სწორედ ის არის. ნესტანს, ალბათ, ტარიელი ისე არ ჰყვარებია, როგორც ამას ოცდაათ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მოშიხაურებული ეს ცხოველი უყვარს.

მაინც რომელს იტყვი, შინ არ ჰყავდეს და თავს არ დაკანკალებდეს.

თეთრი ლაიკა თუ წითელი სეტერი, ოდგი თუ ტო-ტერერი, პუდელი თუ ფოქსი, ჩაუ-ჩაუ თუ ოკერიგე, — რომელი ერთი ჩამოთვალო.

ამას წინათ დაბადების დღე გადაიხადა, ერთი კვირა ეზიდებოდა სურსათ-სანოვაგეს, ეეგონა, სულ ცოტა 100 კაცი მაინც მოუვა-მეთქი, მაგრამ კაცის სახსენებელი გაწყვეტა მაგ ძაღლებასაწყვეტმა.

ჩვენი ეზოლებისა ხომ იცით, გინდ შეს ოთახში გთქვამს რამე და გინდ სადარბაზოში გაგიცხადებია. ძაღლების გხიასმი, აბა, რა დადაძინებდა. უნებლიეთ, ამ უნიკალური დაბადების დღის მოწმე გავხდი.

თამადად დოგი აირჩეს. დალი და დრო გავგტარებინეო, — მოუღოცა იუბილარმა თამადას.

— ჩვენი იუბილარი, — თქვა დოგმა, — ჩვენი ქალბატონი ცუცა, ქალი კი არ ქალ-ღმერთია! დიახ, ბატონებო, ძაღლების ღმერთი!

სხვა ჭიკჭიკებითი ცუცასაც ხომ შეეძლო გათხოვილიყო, გათხოვებას თავი დავანებოთ, ქალი იყოს, ბედს ელოდეო, ხომ შეეძლო ბავშვი ეყვანა და ძაღლების გაზრდას ბავშვი გაეზარდა ერისათვის.

არ ქნა ეს ცუცამ, პატივცემულო ძაღლებო, ვერ შეგვეღალა, ვერ ვერ გავიმეტა, ჯიგარმა არ გაუშვა.

აი, დღესაც, თავისი, ადამიანის დაბადების დღეზე, ბაგიდასთან მარტო ძაღლები იწვნა. და ჩვენ, აქ შეკრებილნი, ვალდებულნი ვართ ჩვენებური, ძაღლური მადლობა ვუთხრათ ქალბატონ ცუცას ასეთი გამოუნელებელი სიყვარულისათვის.

მეგონა, თამადაზე უკეთესს ვეღარავინ იტყოდა, მაგრამ ცუცას სადღეგრძელოს გვირგვინი მაინც ოთახის ძაღლმა — ჩაუ-ჩაუმ დადგა.

— მე ქალბატონ ცუცას ეჩუპრომტი მინდა შეეკადროო, — თქვა ჩაუ-ჩაუმ და დაიწყო:

საგულეთ გული მეც მიცემს,
კუდი მაბია თუმცაო,
ის დღე არ მინდა, — დაიტაცეს,
როცა ვერ გხედავ, ცუცაო!

ჩაუ-ჩაუს სადღეგრძელომ ისეთი ფეთქებადი ძალის ტაში გამოიწვია, ავდლები კიბალამ გადაიქცა. ლექსს — ლეგესი შეეხიანცალა, სადღეგრძელოსსადღეგრძელო, ყეფას—წკავწკავი. მე ჯერ ბოლომა მოგეძალა, მერე ბოლომანარევი ცრემლი. ვასაგები თუ გეოეგებრი მიზეზის გამო, რაკი ვერც ერთს მოვუნახე ადგილი და ვერც მეორეს, ჩემდაუნებურად ყელი ავაღირე და გათენებამდე ლოგინში ძაღლივით, ბობით ვიმეოდი.

**ᲖᲐᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

Ა. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ...

### ᲡᲣᲒᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐᲓ

**ლონდონი,** (საკადესი). დიდი ზარალი მიაყენეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა ლონდონის ცნობილ სტადიონს „უემბლის“ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის დამთავრების შემდეგ, რომელშიც, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა — 2:1. ფინალური სასტვენისთანავე შოტლანდიელ გულშემატკივართა ბრბო გამოცვივდა მინდორზე — იგი პოლიციელთა გაძლიერებულმა ჯგუფებმაც კი ვერ დააკავა. თავისი გუნდის მეტისმეტად გულმოდგინე თაყვანისმცემლებმა სუვენირად დატაცეს კარის ზედა და გვერდითი ძელები, ფეხბურთის მოედანზე ამოგლეჯეს ბალახი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ XXIX ᲩᲔᲛᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** პირველობის (პირველი ჯგუფი) ლიდერმა გალის „მზიურმა“ მე-14 ტურმი პირველად წაიგო. მას ცხინვალში მოუგო ადგილმრიგმა „სპარტაკმა“ (3:0). ამ დამარცხების შემდეგ „მზიურმა“ მომდევნო ტურში შეძლო ოთხი „მშრალი“ ბურთი გაიტანა გორის რაიონის „ქართლის“ კარში. ახლა ლიდერს 27 ქულა აქვს 16 თამაშის შემდეგ.

მეორე ადგილზე მყოფმა სიხნარის „იბერიამ“ მოუგო „ქართლს“ (4:2) და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს (3:1). „იბერიამ“ 21 ქულა მოაგროვა 16 მატჩში.

გათამაშების აუტსაიდერები ორიან წულეკიძის „იმერეთი“, „ქართლი“ და თბილისის „განთიადი“.

## ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐᲜᲘ

**რესპუბლიკის** სპორტულ ბაზებზე მეორე კვირაა ძიდინარეობს საქართველოს მოსწავლეთა 29-ე სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები.

ახლახან ფინიშში ჰქონდა მოკრივეთა ასპარეზობასაც, რომლებიც პირველობას ბათუმში ეცილებოდნენ ერთმანეთს. რინგზე 12 გუნდის 110 ჭაბუკი გამოვიდა. პირველობა ქუთაისელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზეა თბილისის გუნდი, მესამეზე — აჭარისა. წოხითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ფანტელია (რუსთავი), ნ. ხარაშვილი (ქუთაისი), ა. სვეტლიაღი (რუსთავი), გ. სიმონია (აჭარა), ი. ყორდანია (ფოთი), ა. მანკიანი (თბილისი), რ. ფოჩხუა (ფეხბურთი), ი. ქოსოლია, ა. ყურაშვილი, გ. ჯუმბერიძე (ყველა — ქუთაისი), გ. სუხორუკოვი (თბილისი) და კ. ბალახვი (აჭარა).

მოფარიკავეთა ტურნირი გახსნეს ხმლითა და რაპირით შებრძოლმა სპორტსმენებმა. ხმლით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვა ფეხბურთის გუნდმა, მეორე ადგილზეა თბილისის, მესამეზე — წყალტუბოსი. რაპირისტთა შორის უძლიერესნი იყვნენ თბილისელები, მომდევნო ადგილებზე არიან რუსთავისა და ქუთაისის მოფარიკავეები. პირადი შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ზ. გაგნიძემ (ხმალი) და ვ. ქოქაძემ (რაპირა).





## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ

## ᲩᲐᲣ-ᲩᲐᲣᲡ ᲒᲐᲣᲒᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲯᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ?

**დასავლეთ** ევროპის კოსმოსის კვლევის ლაბორატორიას „სპეისლაბს“ დაგეგმილი აქვს 1980 წელს გაუშვას ეკიპაჟისნი კოსმოსური ხიაალდი. სხვა ქვეყნებთან ერთად პროექტში ნიდეოლანდიც მიიღებს მონაწილეობას. აქ უკვე გამოცხადდა კოსმოსი გაფრენის კანდიდატთა კონკურსი. სავალდებულო პირობებია უმაღლესი განათლების დიპლომი, იხალისური ეიის ცოდნა, ასაკი — 47 წლამდე.

ამგვარი კონკურსი გამოცხადებულია ავრეთვე პროექტის მონაწილე სხვა ქვეყნებში. ჯერჯერობით უცნობია, დასავლეთ ევროპის რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაფრინდება კოსმოსში. ქოლანდიელების აზრით, მათი შანსები უმნიშვნელოა, დაახლოებით ერთი ოცთას.

## „ᲢᲐᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲘ“

„ტაბილი მოქანდაკე“ შეარქვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში როლად ვინიეკლეოს. ასლა